საიდ. №75531/03

IR 1213404

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №154-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ს. ებრალიძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტისა და 2015 წლის 04 დეკემბრის №ა-314 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „რიეკერ ჰოლდინგ აგ“ (Rieker Holding AG)(მის: Stockwiesenstrasse 1, CH-8240 Thayngen) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №154-03/14), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 30 ივლისის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №2300/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო

ნიშანს „rieker” (საიდ. №78531/03, IR 1213404) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 25-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

„საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 03 ივლისის №2149/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სტილიზებული ლათინური ასოებით შესრულებულ სასაქონლო ნიშანს ,,CANDY" უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან მსგავსია კომპანიის „CANDY S.P.A.“ (მისამართი: Via Privata Eden Fumagalli 20047 Brugherio, Milano; IT), სახელზე მე-7, მე-11 და 37-ე კლასების მსგავსი საქონლისა და მომსახურებისათვის რეგისტრირებული სიტყვიერი ნიშნისა „CANDY“ (რეგისტრაციის N8631, რეგისტრაციის თარიღი 1998-03-11). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებობს სემანტიკური, ფონეტიკური, ასევე ვიზუალური მსგავსება. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, ვინაიდან ორივე მათგანი შედგება ლათინური შრიფტით შესრულებული ხუთი ასოსგან და მათგან არც ერთი ასო - ბგერა არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მიუხედავად იმისა, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტილიზებული ასოებით, იგი არ სძენს მას სათანადო განმასხვავებლობას. ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც ,,ქენდი’’, ხოლო სარეგისტრაციოდ განცხადებული ნიშანი - ,,ქენდი’’. დაპირისპირებული ნიშნები ასევე, მსგავსია სემანტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან მათში გამოყენებულ სიტყვიერ ელემენტებს აქვთ იდენტური მნიშვნელობა. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ”

ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელ კომპანიას წარმოადგენს კომპანია „ქენდი ს.პ.ა." (CANDY S.P.A.)(მის: Via Privata Eden Fumagalli, 20047 Brugherio, Milano, Italy), ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელ კომპანიას წარმოადგენს ასევე, კომპანია „ქენდი ს.პ.ა." (CANDY S.P.A.)(მის: Via Missori, 8, I-20052 Monza, Italy). სააპელაციო საჩივარში ასევე, მითითებულია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის ერთი და იგივე კომპანიას „ქენდი ს.პ.ა.". განცხადებული ნიშნის შემთხვევაში მითითებულია კომპანიის ადმინისტრაციული მისამართი, ხოლო საერთაშორისო განაცხადის შემთხვევაში კი კომპანიის იურიდიული მისამართი. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ამონაწერი, რომელშიც აღნიშნულია კომპანიის ორივე მისამართი.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო საჩივარს თან ერთვის კომპანია „ქენდი ს.პ.ა." ამონაწერი, რომლის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია და აპელანტი კომპანია წარმოადგენენ ერთი და იგივე კომპანიას. „Via Missori, 8, I-20052 Monza, Italy" წარმოადგენს კომპანიის „ქენდი ს.პ.ა." იურიდიულ მისამართს, ხოლო „Via Privata Eden Fumagalli, 20047 Brugherio, Milano, Italy" წარმოადგენს კომპანიის ადგილობრივი დანაყოფის მისამართს. შესაბამისად, არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის აპელანტ კომპანიას, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ქენდი ს.პ.ა." (CANDY S.P.A.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 03 ივლისის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" №2149/03 ბრძანება.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „CANDY" (საიდ. №78167/03, IR 1210277) მიენიჭოს დაცვა საქართველში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ს. დუმბაძე

ს. ებრალიძე